№ 130

წელიწადი მეორე

მთავრობის მოამბე

წელიწადი მეორე

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

სამშაბათი, 17 ივნისი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით—220 მ. ნახევარი წლით—110 მ., ერთი თვით 20 მ. ცალკე ნომერი ყველგან 1 მან. დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშების დამატებით 2 მანეთი სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

ოფიციალური განყოფილება.

კანონი

ხაზინის შემოსავლის გასაძლიერებლად ზოგიერთ ღონისძიების მიღებისა.

I განყოფილება.

1. დაწესებულ იქნეს 1919 წლისათვის სახელმწიფო ერთდროული გადასახადი.

2 ერთდროული გადასახადი გაეწეროს ყველა იმ მიწას, რომელზედაც კანონით დადებულია მიწის სახელმწიფო და საბეგრო გადასახადი, საძოვრებისა და ტყეების გარდა.

3. ეროთდროული გადასახადის რაოდენობას მთელი სოფლისათვის გადასახადთა ინსპექტორი არკვევს შემდეგი წესით: დესეტინაზედ დაწესებულ ერთდროული გადასახადის საშუალო რაოდენობა, ამ კანონთან დართულ ნუსხაში ნაჩვენები, უნდა გამრავლდეს სათანადო ხარისხის მამულის დესეტინათა რიცხვზედ, რომელიც თვითეულ სოფლისათვის საადგილმამულო წიგნებშია აღნიშნული.

4. მთელს სოფელზე გაწერილ გადასახადს გაანაწილებს სოფლის საზოგადოების ან წვრილი ერობის ხმოსანთა ყრილობა ამ სოფლის მიწის მფლობელთა შორის სათითაოდ, იმისდა მიხედვით, თუ ვინ რამდენის და რა შემოსავლიანი მიწით სარგებლობს, ან რას უდრის იმისი სასოფ. მეურნეობის შემოსავალი იმ სოფლის ფარგალში. გარდასახადის განაწილების ოქმი სოფლის კომისარმა უნდა წარუდგინოს გადასახადთა ინსპექტორს დასამტკიცებლად.

5. ერთდროული გადასახადი უნდა შეტანილ იქნეს ხაზინაში სოფლის კომისარის მიერ ორ ვადაზედ: პირველი ნახევარი გადასახადისა 1919 წლის ენკენისთვეს პირველზედ არა უგვიანეს, ხოლო მეორე ნახევარი იმავე წლის დეკემბრის 31-ზედ არა უგვიანეს. აღნიშნული ვადაზედ ხაზინაში შეუტანელი გადასახადი დარჩენილ გადასახადად ჩაითვლება.

შენიშვნა: ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს შესცვალოს, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, ამ მუხლით დადგენილი ვადა გადასახადის შეტანისა.

6. მიწის სახელმწიფო გადასახადისათვის დადგენილი წესით უნდა მოხდეს გადასახადის ფურცლების ჩაბარება, ანგარიშის წარმოება და დარჩენილი გადასახადის იძულებითი აკრება.

7. თვითეული მაზრისა ან ოლქიდან შემოსული გადასახადის სამი მეხუთედი ჩაირიცხება ხაზინის შემოსავლად, ხოლო ორი მეხუთედი—იმავე მაზრის ან ოლქის ერობის შემოსავლად.

8. ფინაისთა მინისტრს უფლება აქვს ერთდროული გადასახადის გაწერის უმახლობელესი წეს-რიგის განსამარტებლად ინსტრუქციები გამოსცეს.

9. სახელმწიფო საბეგრო და საერობო გადასახადი 1919 წლისა მიწებს არ გადახდება.

II განყოფილება.

10. ქალაქების უძრავ ქონებაზედ დაწესებული სახელმწიფო გადასახადი გადიდებულ იქნეს 1919 წლისათვის ამ ქონებათა საშუალო წმინდა შემოსავლის 20 პროცენტამდე. შემოსულ გადასახადის ოთხი მეხუთედი ჩაირიცხოს ხაზინის შემოსავლად, ხოლო ერთი მეხუთედი სათანადო მაზრის ერობის შემოსავლად. 1919 წლისათვის ქალაქების უძრავ ქონებას საერობო გადასახადი არ გაეწერება.

11. 1919 წლისათვის გადიდებულ იქნეს ძირითადი სარეწავი გადასახადი, რომელიც აღნიშნულია ამა გადასახადის წესდების მე-449 მუხლთან დართულს სიაში (პირდაპირ გადასახადთა წესდება 1914 წლის გამოცემა), მე-5 ხარისხის სავაჭრო დაწესებულებისათვის 500 პროცენტით, ხოლო დანარჩენი ხარისხის სავაჭრო, სამრეწველო და პირად სარეწავ საქმიანობისათვის 200 პროცენტით.

12. 1919 წლისათვის გადიდებულ იქნეს 200 პროცენტით თანხის გადასახადი იმ სავაჭრო სამრეწველოსათვის, რომელიც ვალდებულია თავისი ანგარიში გამოაქვეყნოს.

13. 1919 წლისათვის გადიდებულ იქნეს 20 პროცენტამდე წმინდა ნოგების საპროცენტო გადასახადი იმ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებისათვის, რომელიც ვალდებული არ არის ანგარიში გამოაქვეყნოს.

13. 1919 წლისათვის გადიდებულ იქნეს 20 პროცენტამდე წმინდა მოგების საპროცენტო გადასახადი იმ სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებისათვის, რომელიც ვალდებული არ არის ანგარიში გამოაქვეყნოს.

III განყოფილება.

14. 1919 წლიდან სახელმწიფო ძირითადი სარეწავი გადასახადი დაედოს:

ა) მესამე ხარისხის სავაჭრო დაწესებულებისამებრ სავაჭრო მიზნით ბუნებრივ მადნეულ წყაროების წარმოებას.

ბ) მეორე ხარისხის სავაჭრო დაწესებულებისამებრ ავტომობილებით გადაყვან-გადაზიდვის ქირით წარმოებას.

გ) სათანადო ხარისხის სამრეწველო დაწესებულებისამებრ—მუშა ხელის რიცხვის კვალობაზე ყველისა და ერბოს ქარხნებს, ვისაც უნდა იქუთვნოდეს იგი, აგრეთვე ხელობის წარმოებას, შინა მრეწველობას და სხვათა დაუხმარებლად, ან მხოლოდ თავისი ოჯახის წევრთა დახმარებით გადაყვან-გადაზიდვის ქირით წარმოებას.

დ) მეოთხე ხარისხის პირად სარეწავისამებრ—რკინის გზის შუამავლებს.

15. 1919 წლის პირველ იანვრისიდან დაედოს მოგებაზე საპროცენტო გადასახადი, იმ სამრეწველოებისამებრ, რომელიც ანგარიშის გამოქვეყნების არ არის ვალდებული,—მეოთხე ხარისხის სავაჭროებს მეშვიდე და მერვე ხარისხის სამრეწველოებს, საბაჟოს ექსპედიტორს, ბირჟის მაკლერსა და ბირჟის ნოტარიუს.

16. გაუქმდეს პირდაპირ გადასახადთა წესდების (1914 წლ. გამოც.) მე-453 მუხ. მე 3 პუნქტის დამატების პირველი შენიშვნა.

IV განყოფილება

17. ღერბის წესდების (გადასახადის წესდება, 1914 წლის გამოც. პირველი კარი) და 1914 წლის ოქტომბრის 4 და დეკემბრის 16 დამტკიცებულ ზოგიერთ გადასახადთა რაოდენობის გადიდების დებულების (კანონდებ. კრებ. კან მე-2870 და 3543) შესაცვლელად და დასამატებლად დადგენილ იქნეს შემდეგი:

ა) ორ-მანეთიანი, ერთ-მანეთიანი, 20 კაპ., 15 კაპ., 10 კაპ. და 5 კაპ. ღერბის გადასახადი, რომელიც შემოღებული იყო ღერბის წესდების მე-13, 14, 15, 16, 17, 17-², 18 20 და 21 და 1914 წლის ოქტომბრის 4 და ტკიცებულ დებულების მე-VIII ნაწ. 1, 2 და 5 მუხ. ძალით გადიდებულ იქნეს 100%-ით.

ბ) სათამასუქო ღერბის გადასახადი დაედოს ღერბის წესდების 47 და 48 მუხ. მოხსენებულ აქტებსა (სიგელებსა) და საბუთის ქალალდებს შეა აღნიშნულ ყოველ ას მანეთზე 50 კაპ., ისე კი, რომ არა სრული ასი მანეთი სრულად ჩაითვალოს.

გ) სააქტო ღერბის გადასახადი დიდის ოდენობისა დაედოს იმ სიგელებსა და საბუთის ქალალდებს, რომელიც დასახელებულია ღერბის წესდების მე 51, 51¹ 52, 53 მუხლ. ყოველ ას მანეთზე ერთი მანეთი და ყოველ ათას მანეთზე, უკეთუ ჯამი ათი ათას მანეთს აღემატება,—ათი მანეთი, ისე კი, რომ არა სრული ასი და ათასი მან. სრულად ჩაითვალოს.

დ) სააქტო ღერბის გადასახადი მცირე ოდენობისა დაედოს იმ სიგელებსა და საბუთის ქალალდებს, რომელიც დასახელებულია ღერბის წესდების 57 და 57¹ მუხ., რა ჯამისაც უნდა იყოს, ყოველ ას მანეთზე 20 კაპ. და ყოველ ათას მანეთზე, უკეთუ ჯამი ათი ათას მანეთს აღემატება—2 მან. ისე კი, რომ არა სრული ასი და ათასი მანეთი სრულად ჩაითვალოს.

18. საქართველოს რესპუბლიკაში თამასუქი უთუოდ ღერბის ქალალდზე უნდა დაიწეროს ხოლო თუ ღერბის ქალალდი, რომელზედაც თამასუქია დაწერილი, მცირე ღირებულებისაა თამასუქისათვის დაწესებულ გადასახადთან შედარებით, განსხვავების შესავსებად ღერბის მარკები უნდა დაეკრას, რომელიც შეიძლება გაბათილებულ იქნეს ღერბის წესდების მე 105 მუხ. აღნიშნულ ერთ-ერთი წესით, გადამხდელის სურვილისამებრ.

19. გადასახად-შეწერილ ყოველ ჯამისა და ყოველგვარ სიგელებისა და საბუთის ქალალდების ღერბის გადასახადი შეიძლება გადახდილ იქნეს ამგვარად: ღერბის ქალალდზე დაიწეროს იგი, ან დაწერილს ღერბის ქალალდი დაერთოს, ან ღერბის მარკები დაეკრას, ან ნაღდ ფულად იქნეს შეტანილი, ან რამდენისამე აქ ნაჩვენები საშუალების ერთად ხმარებით, გადამხდელის სურვილისამებრ ისე კი, რომ თუ ნაღდი ფულია შეტანილი, ღერბის წესდების 131 მუხ. აღნიშნული წესი იქნეს დაცული.

V განყოფილება.

20. გადასახადთა წესდების (1914 წლ. გამოც.) 202, 203, 230, 243 და 257 მუხ. ასე შეიცვალა:

202. გადასახადისაგან თავისუფალია:

ა) ქონება, რომლის ღირებულება ათასს მანეთს არ აღემატება;

ბ) ქონება, რომელიც ხაზინისა, საქველმოქმედო, სამეცნიერო, სამოსწავლო და აღმზრდელ-გამასწორებელ საზოგადოებათა და დაწესებულებათა ხელში გადადის.

გ) საოჯახო მოძრავი ქონება (თანხათა გარდა), რომელსაც შემოსავალი არა აქვს და ქონების გადაცემისათვის სავაჭრო ან სარეწავ საგანს არ შეადგენს, უკეთუ საერთო ღირებულება ამ ქონებისა ათი ათას მანეთს არ აღემატება.

მუხ. 203 გადასახადი უნდა გადახდეს იმის კვალობეზედ, თუ რა ხარისხის ნაოესაური კავშირი არსებობს ქონების გადამცემსა და მიმღებს შორის, და გადაცემულ-ქონების ღირებულების შესაფერ პროცენტებისამებრ, რომელიც ამასთან დართულს ნუსხაშია აღნიშნული.

მუხ. 230. უსახყიდლოდ გადასულ მიწების კანონიერ ფასად ჩაითვლება: საადგილმამულო ბანკის შეფასება გირაოდ მიღების დროს, ნასყიდობის უკანასკნელ სიგელსა და მოწმობაში აღნიშნული ფასი, ანუ ის შეფასება, რომელიც ამასთან დართულ ცხრილშია აღნიშნული იმისდა მიხედვით, ამ საქმე რომელი უმეტესია.

მუხ. 243. სამკაულის გადასახადისაგან თავისუფალია:

ა) იმ ქონების ნასყიდობის სიგელნი და მოწმობა, რომელნიც კერძო მფლობელობიდან სახელმწიფოებრივ ან საზოგადოებრივ სარგებლობისთვის არის შეძენილი (მათ შორის რკინის გზის საჭიროებისათვისაც,) და რომელსაც სახელმწიფო თავის ხარჯით აწარმოებს.

ბ) სიგელი ხაზინის მიერ ქონების საჯარო ვაჭრობით ან მფლობელობის ხანდაზმულობით შეძენისა.

გ) იმ მამულების შეძენის მოწმობა, რომელიც სახელმწიფოს საადგილ-მამულო ბანკს დერჩენია და აგრეთვე ამ ბანკების მიერ ნაყიდ და გაყიდულ მიწის სიგელი.

დ) სიგელი იმ მიწისა და ტყის ნაკვეთების, რომელსაც მთავრობა სოფლის მშრომელ მოსახლეობას გადასცემს, ან ეს მოსახლეობა შეიძენს სხვა საშუალებით, თუ მიწისა და ტყის სივრცე არ აღემატება მშრომელთათვის დადგენილ განსაზღვრულ ნორმას.

ე) იმ მიწების ცალკე წევრთა შორის განაწილების სიგელები, რომელიც სოფლის სასოზოგადოებასა და კოოპერატივს ეკუთვნის.

ვ) აქტები, რომლითაც ქონება შეძენილია ხაზინისა, ერობისა, ქალაქისა და სოფლის თვითმმართველობისაგან საქველმოქმედო, სამეცნიერო და საალმზრდელო მიზნებისათვის.

შენიშვნა ვ. პუნქტისა: ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს სიმტკიცის გადასახადისაგან გაანთავისუფლოს ის აქტები, რომლითაც ქონება შეძენილია ან გაცვლილი ვ. პუნქტში აღნიშნული მიზნისათვის საქველმოქმედო, სამოსწავლო, საალმზრდელო საზოგადოებისა და დაწესებულების მიერ.

მუხ. 257. მამულის გადასვლის სიგელში რაოდენობა მიწისა უეჭველად უნდა იყოს აღნიშნული იმ საზომის ერთეულით, რომელიც რესპუბლიკაშია შემოღებული, ხოლო ფასი ამ ერთეულისა უნდა აღრიცხოს 230 მუხ. აღნიშნულ კანონიერ შეფასების კვალობაზედ.

21. გაუქმდეს გადასახადთა წესდების (1914 წ. გამოც.) მე 243 მ. შენიშვნა და მე-245, 246, 247,- 247 248, 251, 251-, და 252 მუხ.

22. სახელმწიფოს ხაზინიდან გაღებულ იქნეს 75.000 მან. სახელმწიფოს ერთდროულ გადასახადის შემოღებასთან დაკავშირებულ ხარჯის დასაფარავად.

23. კანონი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 მაისის 27-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი აღ. **ლომთათიძე**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჯორდანია.**

სავალდებულო დადგენილება.

ქალ. ტფილისში ქონებულ ქალაღდის ნამდვილ რაოდენობის გამოსარკვევათ შინაგან საქმეთა სამინისტრომ საჭიროთ სცნო ქაღალდის რაოდენობის აღრიცხვა.

ამისათვის, ყველა ქაღალდით მოვაჭრენი, როგორც სპეციალური საწყობებისა და მაღაზიების პატრონები, აგრეთვე კერძო პირნი, რომელთაც ერთ ფუთზე მეტი ქაღალდი მოეპოვება, ვალდებულნი არიან, ამა რიცხვიდან ერთი კვირის განმავლობაში, მოაწოდონ შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთო განყოფილებას სწორი ცნობები იმის შესახებ, თუ რა ადგილს და რამდენი ქაღალდი მოეპოვება მათ, მიუხედავათ მისი რაოდეობისა (ერთ ფუთზე მეტი) და თვისებისა.

ამ დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული, თანახმად მომრიგებელ მოსამართლეთა სახელმძღვანელო წესდების 29 მუხლისა დროებითი მთავრობის რედაქციით.

მინისტრი **რამიშვილი.**

კანცელარიის დირექტორი **აფაქიძე.**

მოხსენებათა დილა

კვირას, 15 ივნისს, სახელმწიფო თეატრში საველმოქმედო მიზნით გაიმართა მოხსენებათა დილა. მოხსენებები ეხებოდა დენიკინის განზრახვას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოლაშქრების შესახებ. დილას აუარებელი საზოგადოება დაესწრო. სახელმწიფო თეატრის დარბაზი სავსებით გაჭედილი იყო ხალხით. პირველად ილაპარაკა დამფუძნებელ კრების წევრმა ივ. გომართელმა, რომლის გრძნობიერი და შინაარსიანი სიტყვა ხალხმა მხურვალე ტაშით დააჯილოვა. შემდეგ რუსულ ენაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი პ. გეგეჭკორმა. მოგვყავს მისი სიტყვის მოკლე შინაარსი:

ბ-ნ ევგენი გეგეჭკორის სიტყვა.

ჩემი აქ გამოსვლის მიზანია, მოქალაქენო, მოგიწოდოთ თქვენ მორალურ და მატერიალურ დახმარების გაწევისაკენ იმ ომში, რომელიც ჩვენ შავმა რეაქციონერებმა მოგვახვიეს თავს. მაგრამ იბადება კითხვა: გვაქვს თუ არა ჩვენ უფლება ასეთი მოწოდებით მიმართვისა? ამოსწურა თუ არა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ყველაზეუალებები, რომ მომავალში არ გაგრძელებულიყო სისხლის ღვრა? მე წვინდა სინდისის ქვეშ, თითეული ჩემი სიტყვის სრული პასუხისმგებლობის მიღებით უნდა განვაცხადო თქვენს წინაშე, რომ ასეთი უფლება ჩვენ გვაქვს. ჩვენ არ გვინდოდა სისხლის ღვრა გაგრძელებულიყო, ჩვენ გვწყუროდა მშვიდობიანი ცხოვრება, ჩვენი მთავრობა არასოდეს არ აწარმოებდა აგრესიულ პოლიტიკას, მაგრამ შავი რეაქციის შავმა გენერლებმა ჩვენსკენ გადმოისროლეს ხელთათმანი და ჩვენ მას ვიღებთ. ვიღებთ და ვგრძნობთ, რომ ჩვენ ვიცავთ თავისთფლებას, ვიცავთ რევოლიუციით მონაპოვრებს, ვიცავთ საქართველოს დემოკრატიას, რომელიც გვსურს ვაზიაროთ განათლებულ ევროპის კულტურას.

დენიკინი ზოგიერთებს ახალ მოვლენათ მიაჩნიათ. მოქალაქენო, თვენ უ და იცოდეთ, რომ დენიკინელები წინეთაც იყვნენ. დენიკინი, ლუკომსკი, დრაგომიროვი, იუდენიჩი ეს ნიკოლოზის ტახტის „ბრწყინვალე“, ერთგული დამცველებია. ესენი არიან მიასოედოვის მარჯვენა ხელი. ესენი სძიჯგნიან რუსეთის ცოცხალ სხეულს. დენიკინის ლოზუნგია ერთობ და რუსეთის „აღსდგენა“. ჩვენ ვიცით ძ თქვენც იცით, მოქალაქენო, თუ როგორი რუსეთის აღსდგენას ეტრფის შავი რუსეთის შავი გენერალი და როდესაც ერთმანეთს უპირდაპირდება და სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში ებმევა ერთის მხრით—დემოკრატია, რომელსაც სწყურია ქვეყნად დამყარება ძმობა, ერთობის, სოლიდარობისა, მეორეს მხრით —შავი რეაქცია, რომელსაც სწყურია თავისუფლების რევოლიუციის განიავება და მოსპობა, როდესაც ერთმანეთს ებრძვის სიმართლე და უსამართლობა, სინათლე და სიბნელე, სიკეთე და ბოროტება, მე ეჭვიც კი არ მებადება, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ. (ტაში). ჩვენ იმედი გვაქვს საქართველოს ხალხი, როგორც მორალური, ისე მატერიალური დახმარებით ჩვენ ამ სიბნელესთან, ბოროტებასთან და შავ რეაქციასთან ბრძოლაში ზურგს გაგვიმაგრებს, მხარს დაგვიჭერს. მე ნებას მივცემ ჩემს თავს აქ, თქვენს წინაშე აშკარად განვაცხადო, რომ ჩვენ ამ ბრძოლაში ან სულ დავიხოცებით, ან გავიმარჯვებთ, სხვა გამოსავალი არ არის (ტაში). ჩვენ კარგათ გათვალისწინებული გვქონდა ის არევ-დარევა, ის მწვავე ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა, რომელსაც ბწვავედ განიცდის საერთაშორისო ომისაგან სისხლით დაცლილი მთელი კაცობრიობა, და კერძოთ ჩვენი პატარა ქვეყანა. ჩვენ არ გვინდოდა ამ უმაგალითო სისხლის წვიმების დასასრულის ჟამს ახალი სისხლის ღვრა დატრიალებულიყო და ამიტომ ჩვენ მზათ ვიყავით მოხალისეებთან მოლაპარაკება გვეწარმოებინა. კიდევაც ჩამოვიდა ჩვენთან მოსალაპარაკებლათ დენიკინის წარმომადგენელი ინგლისელი გენერალი ბრიგსი, რომელმაც გვითხრა, რომ პატარა ხალხს, პატარა ერებს არ შეუძლიან ცალკე არსებობა, ამიტომ დენიკინის ლოზუნგის გარშემო უნდა გაერთიანდეთო. ჩემს შეკითხვაზე: აქვს თუ არა პატარა ერს უფლება თვითგამორკვევისა და შეუძლია თუ არა მას იმედი იქონიოს თავისი ცხოვრების თავისივე ძალებით და საშუალებებით მოწყობისა, გენერალმა ბრუგსმა მიპასუხა, რომ ამაზე პასუხის გაცემა მას არ შეუძლია, ვინაიდან ორი მხრიდან იწერება მისი სიტყვები. აი, მოქალაქენო, თქვენ აქედან ხედავთ, რომ გენერალ ბრიგს ეშინია თავისი ბნელი საქმეები ისტორიაში არ იქნას შეტანილი და ის ჩვენს შეკითხვას პასუხს არ აძლევს.

აქვე უნდა განვაცხადო, რომ რუსეთის ხალხთან, რომელსაც დღეს შავი ყორნები სჯიჯგნიან, ჩვენ არაფერი გასაყოფი არ გვაქვს და როდესაც ის აღსდგება—მე კი ღრმად მწამს, რომ ის აუცილებლათ აღსდგება —ჩვენ მათთან სრულ მეგობრულ კავშირს და განწყობილებას დავამყარებთ თავისუფალ ნიადაგზე.

შემდეგ ბრიგსმა განაცხადა, რომ იცით თუ არა თქვენ, რომ დენიკინს აქვს ტანკები, ჰაეროპლანები და მასთან ბრძოლა ძნელიაო. მოქალაქენო, თქვენ ალბად ყველამ იცით საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება საფრანგეთის კონსულის ოდესაში მოქმედების შესახებ. მან სთქვა, რომ იმ კონსულის მოქმედების შესახებ არაფერი იცის და ის არ არის საფრანგეთის მთავრობისაგან დანიშნული. მან არ იცოდა თუ არა ხდებოდა რუსეთში და ეს მით უმეტეს არ იცოდა საფრანგეთის დემოკრატიამ. ევროპის და კერძოდ საფრანგეთის დემოკრატიამ არ იცოდა თუ რა განზრახვით, რა სურვილი მოძრაობს დენიკინი ამ ჟამად ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ ის ამას გაიგებს. ჩვენ უკვე ვაცნობეთ ყველაფერი ევროპის დემოკრატიას და პარიზის კონფერენციას.

თავის უკანასკნელ სიტყვაში ბრიგსმა განაცხადა, რომ დენიკინი თქვენს წინააღმდეგ არ მოდის, მას გადაწყვეტილი აქვს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს ავტონომია მიანიჭოს (ხალხში სიცილია) და მე გირჩევთ ის შემოუშვათ აქ და მას დაეხმაროთ ბალშევიკებთან ბრძოლაშიო.

მოქალაქენო, მართალია ჩვენ გვაქვს ბალშევიკებთან უთანხმოება, მაგრამ იმაზე ფიქრი, რომ ჩვენ ბალშევიკების წინააღმდეგ ვიბრძოლებთ დენიკინთან ერთად, შეუძლიათ მხოლოდ იფიქრონ მათ, ვისაც სავსებით დაუკარგავთ სინდისი და პატიოსნება. აი ასეთი იყო შავი გენერლის წარმომადგენელ გენერალ ბრიგსის განცხადება. ასეთ პირობებში ჩვენ არ შეგვეძლო ბრძოლა რომ არ მიგვეღო და ჩვენ მივიღეთ ეს ბრძოლა, სხვა გამოსავალი არ იყო.

ეხლანდელი მდგომარეობის სურათი კი ასეთია: მთიელთა რესპუბლიკა დაეცა, მაგრამ არ გეგონოთ, რომ ის ბრძოლის ველზე დამარცხებული იყოს. არა, მთიელთა რესპუბლიკა გახდა მსხვერპლი საზიზღარი ღალატისა. ხალილოვმა გასცა ხალხი. („ზიზღი, ზიზღი ხალილოვს“ იძახის ხალხი). აი სწორეთ ამით აიხსნება, რომ მთიელები აჯანყებებს ახდენენ და მოხალისეებს ესხმიან თავს.

ჩვენ დენიკინთან ბრძოლაში მარტო არ ვართ. ჩვენთან არის ბაქოს პროლეტარიატი და მთელი ადერბეიჯანის რესპუბლიკა. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ბაქო და ტფილისი დიდი ხანია, რაც ერთმანეთს ეჯიბრებიან მუშათა მოძრაობაში. ამ ჟამათ ბაქოს და ტფილისის პროლეტარიატს შუა იყო ტაქტიკური უთანხმოებანი, მაგრამ ეს უთანხმოებანი დავიწყებულ იქნა შავი საფრთხის წინაშე.

მე თქვენ უნდა გაცნობოთ, რომ ჩვენს მთავრობას და ადერბეიჯანის მთავრობას შორის უკვე მოხდა შეთანხმება ოფიციალური, საერთო სამხედრო ორგანიზაციის მოწყობის საქმეებში (ხანგრძლივი ტაში).

შემდეგ ორატორი ეხება საქართველოს ხალხის განწყობილებას და ამბობს, რომ საქართველოში არ მოიპოვება ისეთი პატიოსანი სოციალისტი, დემოკრატი, მე ვიტყვ მეტსაც, არც ერთი პატიოსანი ადამიანიც, რომელსაც დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად არ გაეილაშქროს. (მჭუხარე ტაში). მე მგონია, რომ არც რუსებში მოიძებნება ისეთი დემოკრატი, თუ გინდ პატიოსანი ადამიანიც, რომელმაც არ გაეილაშქროს დენიკინის წინააღმდეგ, ვინაიდან ჩვენ არ ვებრძვით და არც არასოდეს ვიბრძოლებთ რუსის ხალხთან (მჭუხარე ტაშის ცემა), ჩვენ ვებრძვით მხოლოდ მათ, ვინც ამ რუსის ხალხის ცოცხალ ორგანიზმს სძიძგნის და მას თავისუფლებას, რევოლიუციას ართმევს. და თუ იქნებიან ისეთები, რომლებიც დენიკინს მხარს დაუჭერენ, ჩვენ მათ წინააღმდეგ სასტიკ ზომებს მივიღებთ. (ტაში).

ჩვენ მოგვიხდა ამ უკანასკნელ ხანებში ზომების მიღება რუსების სასულიერო ზოგიერთ პირთა წინააღმდეგ, მაგრამ ვისაც ესმის ეკლესიის და რწმენის ნამდვილი დანიშნულება ის ჩვენს ზომებს რუს სასულიერო პირთა წინააღმდეგ მიმართულს ადვილათ გაამართლებს. ჩვენ ერთი წუთითაც არ შეგვიძლია დავუშვათ ის გარემოება, რომ ეკლესიები და საკურთხევლები გადააქციონ პოლიტიკურ არენათ და იქიდან ჩვენს დამოუკიდებლობა ებრძოლონ. სწორედ ამიტომ მივიღეთ ჩვენ მათ წინააღმდეგ ზომები და სრულიად სამართლიანადაც (ტაში).

სამწუხაროდ, მოქალაქენო, ჩვენთან არ არიან დენიკინთან ბრძოლაში ამ ჟამად სომხები. ეს იმით აიხსნება რომ სომხის ხალხის ბედ-იღბალს განაგებს დაშნაკცუტუნის პარტია, რომელმაც არა ერთი და ორი უბედურება მიაყენა სომხის ხალხს ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში. ნურავინ იფიქრებს, რომ აქ სომხის ერი, როგორც ასეთი იყოს დამნაშავე. არა. აქ დამნაშავეა მხოლოდ და მხოლოდ ეს პარტია. მე მაინც იმედი მაქვს, რომ დაშნაკელების ხელმძღვანელები უკანასკნელ წუთებში ამ საკითხის გადაწყვეტისა იგრძნობენ იმ საშინელებას და უბედურებას, რომელსაც ისინი თავიანთი ქცევით უმზადებენ თვით სომხის ერს და მთელს ამიერ-კავკასიას და დენიკინთან ბრძოლაში მეზობლებს გვერდში ამოუდგებიან.

შემდეგ ორატორი ეხება საქართველოს დემოკრატიის სულიერ განწყობილებას და ამბობს, რომ საქართველოს დემოკრატია, როგორც ერთი კაცი ფიხზე დადგება და დენიკინის წინააღმდეგ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს, ვინაიდან მას კარგათ ესმის, რომ დენიკინი მოდის, როგორც ძალა შურის მაძიებელი, და იცის, რომ ბავშებსაც არ შეიბრალებენ. თქვენ. მოქალაქენო, იცით, რომ ბათუმთან ბრძოლაში ჩვენ დავმარცხდით მაგრამ ამის მიზეზი იყო ის, რომ შიგნით ფრონტი არ იყო გამაგრებული, დღეს კი ჩვენს დემოკრატიაში, რყევა არ არის და ეს სულიერი განწყობილება და შეგნება მომენტის სერიოზულობისა თავდებია იმის, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ (ტაში). გაუმარჯოს თავისუფლებისათვის და რევოლიუციისათვის ბრძოლას, გაუმარჯოს ჩვენს ჯარს და სახალხო გვარდიას (ხანგრძლივი ტაში).

შემდეგ ილაპარაკეს ბ. ალ. ლომთათიძემ, აკ. პაპავამ, ჰ. აზატიანმა, პეტროსიანმა, ვლასა მგელაძემ და ადერბეიჯანის პარლამენტის წევრმა სოციალისტმა ჯამალბეკოვმა, რომელსაც საზოგადოება მხურვალე ტაშის ცემით შეხვდა.

აღმასრულებელი ხელისუფლება.

სანიმუშო პროექტი რ. არსენიძის.

1 უმაღლესი მმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც შესდგება 7 წევრისაგან.

2. მთავრობას ყავს თავმჯდომარე, რომელიც იმავე დროს არის თავმჯდომარე საქართველოს რესპუბლიკის. თავმჯდომარეს ყავს თავისი მოადგილე: დანარჩენ წევრებს ეწოდება მინისტრები.

3. მთავრობის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს აირჩევს პარლამენტი.

4. მინისტრებს იწვევს მთავრობის თავმჯდომარე რესპუბლიკის იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც უფლება აქვთ პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობისა, და ამტკიცებს პარლამენტი.

5. მთავრობის წევრს არ შეუძლიან იმავე დროს რაიმე თანამდებობა ეჭიროს, ან რაიმე პროფესიას მისდევდეს, მას შეუძლიან მხოლოდ იყვეს პარლამენტის წევრი და თვითმართველობის ხმოსანი.

6. თავმჯდომარე დანიშნავს თანამდებობის პირთ საერთო მართველობის და საგარეო ურთი-ერთობისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კანონით ეს უფლება სხვა სახელმწიფო ორგანოს აქვს მინიჭებული. დანარჩენ თანამდებობის პირთ ის დანიშნავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს კანონში არის აღნიშნული.

7. თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებას და განკარგულებას კანონების აღსრულებისათვის, გრამ უფლება არა აქვს კანონის მოქმედება შეაჩეროს, ან მისი შესრულება დააბრკოლოს.

მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს თავის განკარგულებით დანიშნოს რევიზია სართველობის ამა თუ იმ დარგისა, ადგილის ან მოვლენისათვის თანახმად კანონში აღნიშნულ წესისა.

თავმჯდომარეს არა აქვს არავითარი განსაკუთრებული ხელისუფლება, გარდა იმისა, რაც ამ კონსტიტუციით ან ცალკე კანონით არის მისთვის მიკუთვნებული.

8. თავმჯდომარის ავადმყოფობის ან არყოფნის დროს მის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე.

9. მთავრობის კოლეგიის საერთო უფლებას და მოვალეობას შეადგენს:

ა) რესპუბლიკათა საქმეთა უმაღლესი მართვა გამგეობა, თანახმად კანონისა.

ბ) თვალ-ყურის დევნა კონსტიტუციის და კანონების სწორად ასრულებისათვის.

გ) წარდგენა პარლამენტისათვის თავის კანონპროექტისა და აგრეთვე დასკვნისა იმ კანონპროექტებზე, რომელნიც საპარლამენტო ან სხვა ორგანოების ინიციატივით არის აღძრული.

დ) დაცვა რესპუბლიკის საგარეო ინტერესებისა.

ე) ზრუნვა რესპუბლიკის უზრუნველყოფისათვის გარეშე ხიფათისაგან, მისი ნეიტრალიტეტის და დამოუკიდებლობის დარღვევისაგან.

ვ) ზრუნვა შინაგანი წესიერებისა და უშიშრობის დაცვისათვის. მოულოდნელ შემთხვევაში თუ საჭიროებამ მოითხოვა, უფლება აქვს თავის დადგენილებით გამოიყვანოს შეიარაღებული ძალა რესპუბლიკისა—3.000 კაცამდე,—ვადით არა უმეტეს სამი კვირისა, უკეთუ მეტი ძალა და-ჭირდება ან მეტის ვადით, უნდა ამის ნებართვა მიიღოს პარლამენტისაგან.

ზ) განაგებს ფინანსებს, ბეჭდავს ფულს თანახმად კანონისა და ყოველ-წლიურად წარუდგენს პარლამენტს შესავალ-გასავლის პროექტს.

თ) ანგარიშს მხსცემს პარლამენტს თავის მოქმედებაში და ყოველ სესიაში ერთხელ მაინც წარუდგენს მოხსენებას საქართველოს შინაგან და საგარეო მდგომარეობის შესახებ. ამის გარეშე იგი ვალდებულია წარუდგინოს პარლამენტს სპეციალური მოხსენება, უკეთუ პარლამენტი მოითხოვს.

10. რესპუბლიკის ყველა დანარჩენი საქმეების მართვა-გამგეობა განაწილებულია მთავრობის წევრთა შორის.

11. მთავრობა კოლექტიურად პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისათვის და თვითეული წევრი მთავრობისა პირადად თავის მოქმედებისათვის.

12. მინისტრებს უფლება აქვთ პარლამენტში ხმის მიცემისა მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ დეპუტატად ირიცხებიან.

13. მთავრობის წევრს უფლება აქვს პარლამენტის სხდომას დაესწროს და, უკეთუ მოითხოვს, პარლამენტი ვალდებულია მას მოუსმინოს, თავის მხრით პარლამენტის მოთხოვნით მინისტრი ვალდებულია სხდომაზე გამოცხადდეს და ასხნა განმარტება მისცეს.

14. მთავრობის წევრთა პასუხისგებაში მიცემა შეუძლიან მხოლოდ პარლამენტს. ამ შემთხვევაში მათი საქმე გადაეცემა გასარჩევად უმაღლეს საკასაციო სასამართლოს, რომელსაც უფლება აქვს მათი განსჯის. მთავრობის წევრთა პასუხისმგებლობა, სასჯელი და გასამართლების წესი განისაზღვრება კანონით.

15. მთავრობის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს აირჩევენ ერთი წლით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მისი ვადა თავდება მაშინ, როდესაც უთავდება ვადა თვით პარლამენტს. ამავე დროს გაუდის ვადა მთავრობის დანარჩენ წევრებსაც.

დემოკრატიულ

ორგანიზაციების და პროფესიონალურ კავშირების სეკრეტარიატის საყურადღებოდ.

მას შემდეგ, რაც ქალაქთა კავშირისაგან უკან ჩაიბარა ქალაქმა ცენტრალური პურის საცხობი და აუცილებელი ცვლილებანი მოახდინა ადმინისტრაციაში, მუშების ნაწილმა იმ თავიდანვე აითვალისწინა ახალი ადმინისტრაცია და მიუხედავად ქალაქის გამგეობის მიერ

მიღებულ ყოველგვარ ზომებისა, მუშაობა საჭიროებს ნიადაგზე არ მიდის. ზოგჯერ ფქვილს სრულიად არ სცრიან და ჰური ან მჭადი ბაწრის ნაკუწებით და ჩალითაა სავსე. ზოგჯერ ჰური ან მჭადი სრულიად ფუჭდება გამოცხობის დროს და მიზეზად ხან ფქვილის უვარგისობას ასახელებენ და ხან სხვა მასალის უქონლობას, მაშინ როდესაც იმავე ფქვილისაგან ქალაქის სხვა ფურნეებში კარგი ღირსების ჰური და მჭადი ცხვება. ჰურის უვარგისობის შესახებ ბევრი საყვედური მიიღო გამგეობამ მომხმარებლებისაგან საერთოდ და სხვათა შორის სახალხო გვარდიის შტაბისაგანაც, რომლისთვის ჰურს ქალაქი აცხობს. გამგეობა დარწმუნებულია, რომ ეს სამარცხვინო და ყოვლად დაუშვებელი საბოტაჟია, რის საშუალებითაც ხელმომჭირნე ახალი ფურნის ადმინისტრაციის მაგიერ მოთარეშე და თვითნება ხელმძღვანელების უკან დაბრუნებას სცდილობენ. ძველმა ადმინისტრაციამ კი ისეთი დაუდევრობა და უთვალყურობა გამოიჩინა, რომ ყოვლად შეუძლებელია იმათ ხელში საქმის ხელახლად ჩაგდება.

ამის გამო გამგეობამ დაადგინა თავის სხდომაზე ივნისის 13, რომ თუ ასეთი მდგომარეობა ფურნეში გაგრძელდა, ის იძულებული იქნება სრულიად დაითხოვოს სამსახურიდან მუშები, როგორც უვარგისნი და არც არავითარი სალიკვიდაციო არ მისცეს მათ. ეს ეცნობა შრომის სამინისტროს და პროფესიონალური კავშირების სეკრეტარიატს.

ქალაქის მოურავი.

ერობა

სილნალის სამაზრო ერობაში.

წესდება დროებით სახელმძღვანელოდ სილნაღის მაზრაში ახლად შემოღებულ სათემო თვითმართველობაში.

თემის საბჭო

(გაგრძელება)

7. თემის საბჭო შესდგება თემის ხმოსნებისაგან, რომელნიც პირველად, სათემო თვითმართველობის შემოღებისთანავე, არჩეულნი არიან ვადით 1920 წლის 1 იანვრამდე.

8. თემის ხმოსნის თანამდებობა უსასყიდლოა. ასანაზღაურებლათ ხარჯებისა, რომელიც გამოწვეულია ხმოსნის მოვალეობის აღსრულებით, საბჭოს შეუძლიან დააწესოს საგანგებო დღიური ან საგზაო.

9. დაუშვებელია ხმის უფლების გადაცემა ერთი ხმოსნის მიერ მეორე ხმოსნისათვის.

10. თავმჯდომარეობა საბჭოს სხდომაზე ეკუთვნის ერთს პირს, რომელსაც ირჩევენ ხმოსნები თავიანთ შორის ვადით 1920 წლის 1 იანვრამდე. ამავე ვადით ხმოსნები ირჩევენ თავიანთ შორის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და საბჭოს მდივანს.

11. არჩევა საბჭოს თავმჯდომარისა, მის მოადგილისა და მდივნისა სწარმოებს ფარული კენჭის ყრით.

12. საბჭოს უფლებასა და მოვალეობას შეადგენს:

1) წარმოება არჩევნებისა კანონით ნაჩვენებ თანამდებობაზე და განსაზღვრა ჯამაგირისა ამ თანამდებობათათვის.

2) თემის აღმასრულებელ ორგანოთა მოქმედების წესების განსაზღვრა და მათი სათანადო ინსტრუქციებით აღჭურვა.

3) განხილვა და მიღება თემის ხარჯთაღრიცხვისა და ფულისა და ბეგრის გაწერისა.

4) განსაზღვრა სათემო გადასახადათა რაოდენობისა, ამ საგნის შესახებ არსებულ საგანგებო წესების თანახმად.

5) უიმედო ან შეცდომით გამოანგარიშებულ სათემო გადასახადთა ნედოიმკებისა და პენისაგან განთავისუფლება.

6) სათემო თვითმართველობის საკუთარ ან მის განკარგულებაში მყოფ თანხათა და სხვა ქონებათა, აგრეთვე სათემო თვითმართველობის განკარგულებაში მყოფ სამილიციო, სამკურნალო, სასკოლო და სხვა დაწესებულებათა გამგეობლობის წესების განსაზღვრა.

7) შეძენა და გაცემა უძრავ ქონებათა.

8) შედგენა საგანგებო თანხათა სპეციალურის დანიშნულებისათვის.

9) სესხის აღება თვითმართველობის საჭიროებისათვის და მცირე ვადიანი დასესხება იმ თანხებიდან, რომელთაც განსაზღვრული დანიშნულება აქვთ.

10) შემოწმება თემის გამგეობის მოქმედებისა და ანგარიშებისა, გამგეობისა და მილიციის მოქმედების შესახებ საჩივრების განხილვა.

11) დასკვნის გამოტანა იმ კითხვებზე, რომლებსაც წარმოუდგენენ თემის საბჭოს განსახილველად სამაზრო საერობო ყრილობა, სამაზრო ერობის გამგეობა ან რესპუბლიკის მთავრობა.

12) წარდგენა სამაზრო საერობო ყრილობისათვის, სამაზრო ერობის გამგეობისათვის და რესპუბლიკის მთავრობისათვის ცნობათა და დასკვნათა მათ მიერ დასმულ კითხვებზედ.

13) განხილვა და გადაწყვეტა ყველა საქმეთა, რაც სათემო თვითმართველობის უწყების საგანს შეადგენს და აგრეთვე აღძრა სათანადო შუამდგომლობათა ადგილობრივი სარგებლობისა და საჭიროების კითხვებზედ.

13. თემის საბჭოს სხდომებს იწვევს თემის გამგეობა ხმოსნებისათვის უწყებების დაგზავნით და საბჭოს თავმჯდომარესა, მის მოადგილესა და საბჭოს მდივანთან წინასწარ შეთანხმებით.

14. საბჭოს მორიგი სხდომები ინიშნება იმ ვადებში, რომელსაც თვით საბჭო დააწესებს თემის ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად და გადასახადთა დასაწესებლად საბჭოს მორიგი სხდომა უნდა მოწვეული იქმნეს სექტემბრის 15-მდე.

15. საბჭოს სხდომა მოწვეულ უნდა იქმნეს აუცილებლად ორი კვირის განმავლობაში:

1) ხმოსანთა ერთ მეხუთედის განცხადებით, რომელიც წარედგინა გამგეობას.

2) სამაზრო ერობის წინადადებით.

3) საბჭოს პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის განცხადებით.

4) რესპუბლიკის ადმინისტრაციის ინსპექტორის ან მისი თანაშემწის წინადადებით.

16. საბჭოს სხდომა ზემდგარად ითვლება თუ დაესწრო საბჭოს თავმჯდომარე და ხმოსანთა ერთ მესამედზე არა ნაკლები. თუ სხდომაზე აღნიშნულ რიცხვზე ნაკლები ხმოსანი გამოცხადდა მოწვეულ უნდა იყოს მეორე სხდომა. მეორედ დანიშნულ სხდომაზედაც თუ არ გამოცხადდა საკმაო რიცხვი ხმოსნებისა, დღიურ წესრიგში დასმული კითხვები წარედგინება გადასაწყვეტად სამაზრო ერობის გამგეობას.

17. გამგეობის მოქმედებისა და ანგარიშების შესამოწმებლად საბჭო ირჩევს ხმოსანთა შორის სარევიზიო კომისიას, რომელიც თავის დასკვნას წარუდგენს. დასამტკიცებლად საბჭოს სარევიზიო კომისიის წევრად არ შეიძლება იყვნენ ის პირნი, რომელნიც თვითმართველობის სამსახურში ირიცხებიან.

18. საბჭოს სხდომები იხსნება და იხურება საბჭოს თავმჯდომარის მიერ. საბჭოს სხდომა სწარმოებს საჯაროთ, გარეშეთა დასწრებით.

19. თემის საბჭო იხილავს კითხვებს:

1) თემის გამგეობის ან თემის ხმოსანთა წინადადებით.

2) სამაზრო საერობო ყრილობის ან სამაზრო ერობის გამგეობის წინადადებით.

3) კერძო პირთა თხოვნით.

4) სარევიზიო კომისიის წინადადებით.

5) რესპუბლიკის ადმინისტრაციის ინსპექტორის ან მისი თანაშემწის წინადადებით.

20. საბჭოს შეუძლიან დააკისროს წინასწარი განხილვა მის უწყებაში მყოფ საქმეებისა საგანგებო კომისიებს, რომელნიც შესდგებიან ხმოსანთაგან ან ისეთ პირთაგან რომელნიც ხმოსნები არ არიან ასეთივე კომისიები შეიძლება არჩეულ იქმნენ საბჭოს მიერ გამგეობის დასახმარებლად და განსაკუთრებულ დავალებათა შესასრულებლად.

21. საბჭოს სხდომაზე მისივე დადგენილებით შეიძლება მოწვეულ იქმნენ სათათბირო ხმით ახსნა-განმარტების წარმოსადგენათ მცოდნე პირები, რომელნიც ხმოსნები არ არიან.

22. საქმეები თემის საბჭოს სხდომაზე სწყდება დამსწრე ხმოსანთაგან ხმის უბრალო უმრავლესობით, ხმები თუ თანაბრად გაიყო, ახდილი კენჭის ყრის დროს მიღებულად ჩაითვლება აზრი, რომელსაც ეთანხმება საბჭოს თავმჯდომარე, დახურული კენჭის ყრის დროს კი კენჭის საყრელად დასმული წინადადება ითვლება უარყოფილად. საქმეები თემის თანამდებობის პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ დამსწრე ხმოსანთა ორი მესამედი ხმის უმრავლესობით სწყდება.

23. არჩევნები სათემო თვითმართველობის თანამდებობის პირთა და სარევიზიო კომისიის წევრებისა ხდება ფარულის კენჭის ყრით. ასეთივე წესით სწყდება კითხვები თანამდებობის პირთა პასუხისგებაში მიცემისა და მოსამსახურე პირთათვის ჯამაგირის, ჯილდოს თუ ერთდროულ დახმარების დანიშვნისა. ყველა სხვა საქმეები შეიძლება გადაწყვეტილ იქმნენ საბჭოს სურვილისამებრ ახდილის გინდა ფარულის კენჭის ყრით.

24. თემის საბჭოს დადგენილებანი აღინუსხება მოკლე ჟურნალის სახით, რომელშიაც იწერება მხოლოდ არსება მიღებულ დადგენილებათა. ჟურნალი მტკიცდება საბჭოს მიერ და ხელს აწერენ დავმჯდომარე და მდივანი საბჭოს, თავმჯდომარე და წევრები თემის გამგეობისა, და აგრეთვე სურვილისამებრ, დამსწრე ხმოსნები.

(შემდეგი იქნება).

მუნიციპალური ცხოვრება

ფოთის თვითმმართველობაში.

ფოთის ქალაქის საბჭომ დიდის ხმის უმეტესობით დაადგინა: მიენდოს ქალაქის გამგეობის აღძრას მთავრობას წინაშე შუამდგომლობა, დამატებით მისი შუამდგომლობებისა, რათა მართვა-გამგეობა ფოთის ნავთსადგურისა იქმნას გადაცემული ფოთის ქალაქის თვითმმართველობის ხელში, მემორე ინსტანციის დაწესებულებათა სახით მთავრობის კონტროლის ქვეშ. ამასთან დეპეშით ეთხოვოს ქალაქის თავს კორძაიას, საბჭოს თავმჯდომარეს ხოფერიას, რომლებიც გამოწვეულნი არიან ტფილისში ამ საქმის განხილვის დროს დასასწრებლათ მთავრობაში, დაფუძნებული კრების წევრთ ვასილ მარკოზის ძეს ნოდიას და ლავროსი პავლეს ძეს კილურაძეს-ენერგიულათ დაიცვან სადაც ჯერ არს ქალაქის საბჭოს შუამდგომლობანი ამ საქმის შესახებ და მით სამუდამოთ ბოლო მოეღოს ნავთსადგურში შექმნილ უთავბოლობას.

გამგეობის წევრმა პ. ი. ქუთათელაძემ მოახსენა საბჭოს ცნობათ რომ ასაშორებლათ ყოველივე მითქმა მოთქმისა, რ.მელს ადგილი ჰქონდა მოქალაქეთა შორის ძველი მილიციის შემადგენლობის დროს, ქალაქის გამგეობამ მოიწვია სამსახურში მილიციის უფროსათ ბ. მალნარაძე, მისი თანაშემწედ დ ნოდია, აგრეთვე შეამცირა მილიციის შემადგენლობა 60 კაცამდის და იმედს გამოთქვამს რომ აწი არავითარ გაუგებრობას ადგილი არ ექნება.

საბჭომ გამგეობის მოხსენება მიიღო საყურადღებოთ.

გამგეობის წევრმა პ. ი. ქუთათელაძემ მოახსენა საბჭოს, რომ, როგორც უკვე მოგეხსენებათ, ჩვენი კასსა აუტანელ მდგომარეობაშია, გასავალი ერთობ დიდია, ხოლო შამოსავალი სანახევროდ არ აკმაყოფილებს ხარჯებს და ყოველ თვიურად გვედება აუარებელი ვალი. ქალაქის თვითმმართველობას მილიციის შესანახათ სჭირია ყოველ თვე 64.260 მანეთი, ანუ წლიური ხარჯი რომ ავიღოთ-მილიციას უნდება 771,120 მან., ამ თანხიდან ხაზინა გვაძლევს სუბსიდიის სახით მხოლოდ 144,000 მან., დანარჩენი 527,120 მანეთი სრულად აწობა ქალაქს, ასეთი ხარჯების ატანა შეუძლებელი ხდება ქალაქის კასისათვის თუ არ გამოვიჩინეთ რაიმე სხვა წყარო ერთ ასეთ წყაროთ ქალაქის გამგეობას მიაჩნია მიეცეს მას ნება დროებით სპეციალური სამილიციო გადასახადი დაუწესდეს საზოგადოების შეძლებულ ნაწილს და ამაზე აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე.

საბჭომ დიდის ხმის უმეტესობით მიიღო მოხსენება ქალაქის გამგეობისა და დაადგინა: მიენდოს გამგეობას აღძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რათა ფოთის ქალაქის თვითმმართველობას მიეცეს ნება დროებით სპეციალური სამილიციო გადასახადის დაწესებისა შეძლებულ ნაწილზე.

მომხსენებელია გამგეობის წევრი ა. ნ. ინწკირველი, ის აცნობს საბჭოს, რომ ქალაქის თვითმართველობის განკარგულებაში ამ დროებით არის რამოდენიმე გემი. ეს გემები უმუშევრად არიან ამ ჟამად. გამგეობას სურდა მათი ამუშავება, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, გემებს სჭირია დიდი შეკეთება, რომელიც აუარებელ ხარჯს იწვევს და ეს ხარჯი ქალაქს არა აქვს. ამისთვის გამგეობა ფიქრობს მისცეს ეს გემები საამხანაგოთ ხელსაყრელ პირობებში კერძო პირთ, რომელნიც დასთანხმდებიან გემების თავის ხარჯით შეკეთებას. ამისათვის მომხსენებელი ითხოვს საბჭოს მიერ დადასტურებას.

საბჭომ დაადგინა: მიენდოს ქალაქის გამგეობას, რათა გემები, რომელნიც ამ დროებით თვითმართველობის კუთვნილებას შეადგენს, გასცეს საამხანაგოთ ხელსაყრელ პირობებში კერძო მწარმოებელს.

ქალაქის თავის ამხანაგი გ. ს. ჩიტაია აცნობს საბჭოს, რომ საქართველოს ისტორიულმა მტრებმა ერთხელ კიდევ ააოხრეს ჩვენი სამშობლოს ორი უმშვენიერესი კუთხე, ქართველი ხალხის კულტურის აკვანი-მესხეთი—და ჯავახეთი. ერთ წელზე მეტია, ეს მაზრები მუდმივი ომის ცეცხლშია და მდიდარი ქვეყანა დღეს მხოლოდ ნანგრევებს წარმოადგენს, ხოლო ცოცხლათ დარჩენილი ხალხი ებრძვის ულმობელ შიმშილს. ამ მაზრების მცხოვრებნი, დღეს სრულიად დაბნეულნი და ულუკმაპურნო ითხოვენ ჩვენგან შველას, მოელიან ძმურ ნუგეშს, თავის ძმა და ერთგულ საქართველოს ხალხიდან ამისათვის საჭიროა მთელი ერის დახმარება.

ტფილისში უკვე დაარსდა დამხმარე კომიტეტი, რომელიც გვთხოვს ჩვენც დავეხმაროთ ამ საქმეში და დავაარსოთ აქაც ადგილობრივი კომიტეტი.

საბჭომ ერთხმათ დაადგინა: დაარსდეს ქ. ფოთში მესხეთი-ჯავახეთის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ ქალაქის თავი ა. ბ. კორძაია და ხმოსნები ლ. მ. ტუღუში ქ-ნი ლ. მგალობლიშვილი, ი. მაჭარიძე და მ. ბ. ესაკია.

გამგეობის წევრმა ა. ნ. ინწკირველმა მოახსენა საბჭოს, რომ გამგეობას სურვილი აქვს შემოიღოს ქალაქის სასარგებლოთ საავადმყოფოს გადასახადი გადასახადს იხდის ყველა მოქალაქე ორივე სქესისა, გარდა მცირე წლოვნისა, რაოდენობა გადასახადისა უნდა იქნეს დაწესებული წლიურათ 20 მანეთი სულზე.

ხმოსანი ლ. მ. ტუღუში, ს. დ. ფრაქციის სახელით, აცხადებს ეს საკითხი მოიხსნას დღის წესრიგიდან და გადადებულ იქნას დროებით, სანამდის არ გამოირკვევა კითხვა შეფასებითი გადასახადის გადიდების შესახებ წინადადება მიიღეს. ბ. ჩიტაიამ საბჭოს მოახსენა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში სასწავლო ფასის გადიდების შესახებ.

საბჭომ ხმის უმრავლესობით დაადგინა: სწავლის ფული ფოთის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში, რომელიც გადიდებულ იქნა პედაგოგიური საბჭოს მიერ 100%-ით, დარჩეს უცვლელად დროებით, პირველი მომავალი სექტემბრამდის იმ სპეციალურ თანხის დეფიციტის დასაფარავად, რომელიც აღმოაჩნდა სასწავლებელს და დაედება 1920 წლის 1 იანვრამდის სასწავლებლის ახალი შტატის შემოღებით. ამ გვარათ სწავლის გადასახადათ ამ სამოსწავლო წლის მეორე ნახევარში (პირველ სექტემბრამდის) დაარსდა 150 მანეთი, ხოლო პირველ სექტემბრიდან უნდა შამოღებულ იქნას წლიურათ 150 მან.

ამასთან საბჭომ სურვილი გამოსთქვა სწავლის ფულებიდან იქნან განთავისუფლებულნი ისეთი ღარიბი-ობოლნი მოწაფენი, რომლების უმწეო მდგომარეობა დადასტურებულ იქნება ადგილობრივი დემოკრატიული ორგანიზაციის მიერ.

ქალაქის თავის ამხანაგმა გ. ს. ჩიტაიამ წაუკითხა საბჭოს მოხსენება გამგეობისა შემდეგი შინაარსისა:

„ამბულატორიულ აქიმობას არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ვიდრე სტაციონალურს და თუ ჩვენ ამას წინათ ყურადღება მივაქციეთ საავადმყოფოს, აუცილებლად გვმართებს ყოველივე ვიღონოთ რათა ამბულატორია ჯეროვან ნიადაგზე დავაყენოთ. ფოთის პირობებში მას უაღრესი მნიშვნელობა ეძლევა. მალარიის ეპიდემია პირველ-ყოვლისა ამბულატორიულ აქიმობას საჭიროებს. მკურნალობის გარდა ამბულატორიამ ადგილობრივ პროფილაქტიკურ და სამედიცინო ცოდნადარიგების სადგურათ უნდა გადაიქცეს. ამიტომ ამბულატორიის იმ პირობებში დატოვება, რომელშიაც ის ეხლა იმყოფება უთუოდ შეუძლებელია. საჭიროა სპეციალისტ ექიმების თავ-მოყრა და რიგიან დონეზე დაყენება საქმისა. უარყოფილ იქმნას ძველი სისტემა ამბულატორიის ნარდათ გაცემისა და ქალაქის გამგეობა სრული მმართველი უნდა გახდეს ამ დაწესებულებისა. ამ მიზნით ჩვენ ვარდგენთ შესაფერ ხარჯთ-აღრიცხვას, რომლიდანაც სჩანს, რომ ახალ პირობებში ამბულატორიის მოწყობა შესამჩნევლად გაზრდის ქალაქის ხარჯს, ამ საგანზე დანიშნულს. მაგრამ საჭიროება და აუცილებლობა ამ საქმისა იმედს გვაძლევს, რომ ქალაქის საბჭო ასეთ ხარჯებს გაიღებს. ეხლა წლიურად ამბულატორიის შესანახად ქალაქი ექ. მიქაბერიძეს აძლევს 5000 მანეთს. ამ ფულით ამბულატორიის შენახვა მიქაბერიძეს ცხოვრების გაძვირებისა გამო არ შეუძლია, ან საჭირო გახდება ამ თანხის გადიდება, და ნარდობითი სისტემის დატოვება ან და სრული მუნიციპალიზაცია და ახალი ხარჯთ აღრიცხვის მიღება. წარმოდგენილი ხარჯთ აღრიცხვა მოითხოვს თვიურ გასავალს ქალაქის სალაროდან 3650 მანეთს თუ ამას გამოვაკლებთ ეხლანდელ გასამებულ (ვინაიდან უნდა გადიდდეს) გადასახადს 1250 მანეთს და შეძლებულთაგან ბილეთების საფასურს 500 მანეთს ამბულატორიის ახალ სისტემაზედ გადასვლა გაადიდებთ ქალაქის ამ მუხლის გასავალს თვიურად 3650-(1250+500)=1849 მანეთით რაიც, ჩვენ ვფიქრობთ მისაღები უნდა დარჩეს ქალაქის საბჭოსათვის.

შემდეგ მოხსენების წაკითხვისა მომხსენებელმა მუხლებათ გააცნო ხმოსნებს პროექტი ქალაქის ამბულატორიის ხარჯთ-აღრიცხვისა.

საბჭომ დადგინა: მიენდოს გამგეობას წარმოუდგინოს მას დასამტკიცებლათ კანდიდატი უფროსი ექიმისა, რომელიც იმავე დროს იქნება ამბულატორიის გამგეთ.

ღვინის გადასახადის შესწორების შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი ა. ნ. ინწკირველი, რომელიც აცნობს საბჭოს, რომ შარშან 16 ნოემბრის დადგენილებით, შემოღებულ იქმნა ქალაქის სასარგებლოთ ღვინის გადასახადი. ეს დადგენილება არ ვრცელდება ტრანზიტით გადატანილ ღვინოზე, ვინაიდან დროებით გარემოება შეიცვალა

ბაჟარებელი ღვინო გადის ტრანზიტით საზღვარ გარეთ და გამტანი რჩება უბაჟოთ, გამგეობა ითხოვს დადასტურებას, რომ ყველა ტრანზიტით გატანილ ღვინოზე დაარსდეს ქალაქის სასარგებლოთ ნახევარი იმ გადასახადისა, რომელსაც იხდიან ადგილობრივი ღვინის მოვაჭრეები.

გამგეობის წევრი ა. ნ. ინწკირველი გამგეობის სახელით მოითხოვს ეს საკითხი დროებით მოხსნილ იქნას დღის წესრიგიდან.

საბჭომ ეს განცხადება ერთხმათ მიიღო.

თვითმართველობა საუსრადღეგოთ

გორის მაზრის ერობის გამგეობას.

თქვენ მიერ მიმდინარე 23 მაისს № 1403 იუსტიციის სამინისტროში წარდგენილ გორის მაზრის ცხრა უბნის ნაფიც მსაჯულთა საერთო სიიდან არ სჩანს, იყო თუ არა დაცული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულების კანონის მე-6, 7 მუხლები ე. ი. იყო თუ არა ეს სია გამოცხადებული; თუ იყო, როდის და შემოვიდა თუ არა ვინმესაგან ამ დროიდან ორი კვირის განმავლობაში განცხადება ამ სიის უსწორობაზე.

გთხოვთ მომაწოდოთ ეს ცნობებიც დაუყონებლივ, რადგან უკამისოთ ამ სიას და დანარჩენებსაც, რომლებსაც შემდეგში წარმოადგენთ, ვერ მიეცემა სათანადო მსვლელობა.

ამასთანავე გთხოვთ მიიღოთ სახლმძღვანელოდ, რომ ნაფიც მსაჯულთა სიის დანაწილება სამაზრო ერობის ფარგალში, ე. ი. დაყოფა ამ სიების უბნებათ და მათი სხვა და სხვა დროს წარდგენა არ არის სასურველი. საერთო სია ნაფიც მსაჯულთა მთელ მაზრაში უნდა შედგეს ერთ წიგნათ, რომელიც იმავე კანონის მე-8 მიხლის ძალით უნდა გაეგზავნოს საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს და არა სამინისტროს.

სასამართლოს თავმჯდომარე **პ. კიზირია.**

არტისტების დღე.

გუშინ წინ მთელ ქალაქში ხელოვნების მსახურთა დღე გაიმართა. მსახიობნი ავტომობილებზე, ეტლებზე და ურმებზე გამოწყობილნი სხვა და სხვა როლებსა და გრიმებში ორკესტრით მოგზაურობდენ. ნაშუადღევის 1½ საათზე მთელმა კორტეჟმა სასახლის წინ თავი მოიყარა და ეროვნულ ჰიმნით მიესალმა მთავრობის თავმჯდომარეს ბ ნ. ჟორდანიას, რომელიც ამ დროს გამობძანდა აივანზე. უხუცესმა მსახიობმა სიტყვით მიმართა, რაზედაც ბ-ნ ჟორდანიამ მადლობა გადაუხადა და თავის წვლილი გადასცა. სიმებიან ორკესტრმა შეასრულა მარსელიოზად სხვა სარევოლიუციო ჰანგები. ამის შემდეგ მთელმა კორტეჟმა მთავრობის თავმჯდომარის წინ გაიარა „ვაშას“ ძახილით მთავრობის თავმჯდომარისადმი, რომელიც მღიმარე სახით მადლობას უხდიდა.

სხვა და სხვა.

◆ მსახიობმა ი. ზარდალიშვილმა შეადგინა საკონცერტო დასი და ამ მოკლე ხანში გაემგზავრებიან დასავლეთ საქართველოში. უმავრეს პარტიას აბესალომისას შეასრულებს ივ. სარაჯიშვილი, მურმანისას—ალ. ინაშვილი, გარიხეს—ვიშემირსკაია. სხვათა შორის შესრულებული იქნება „შოთა-რუსთაველიდგან“ დუეტები და არიები. აკომპანიმენტს ხელმძღვანელობას გაუწევს ზ. ფალიაშვილი. დასი გაემგზავრება 20 ამ თვეს.

◆ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სასადილოში ნაშუადღევის 3 საათიდან 5 საათამდე იყიდება შემდეგი წიგნები: 1 შარლ ჟიდი: „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები“ შესავალი და პირველი წიგნი; პროფესორი ჯავახიშვილის „სამართლის ისტორია“; პროფ. ახვლედიანის „ენათა მეცნიერების შესავალი“ წიგნი 1. 2, 3 და სახ. უნივერს. სტუდენტთათვის სავალდებულო საგნები.

◆ ტფილისის პოლიტეხნიკუმის სომეხ სტუდენტობამ შუამდგომლობა აღძრა ნოე ჟორდანიას პოლიტეხნიკუმის პროფესორთა საბჭოს წინაშე, რათა ტფილისის პოლიტეხნიკუმის სომეხი სტუდენტობა მიღებულ იქნან მათდამი რუსულენოვან სასწავლებელში და ჩაეთვალოთ ჩაბარებული საგნები.

◆ 3 იანვარს 1919 წ. სამხედრო სასანიტარო განყოფილებამ დანიშნა უმცროს ფერშლის თანამდებობაზე დაქირავებული ფერშალი ივანე მელაშვილი ახალქალაქის ადგილობრივ ლაზარეთში. იგივე ფერშალი მელაშვილი გარდაიცვალა პარტახტიან ტიფისაგან თებერვალში და დარჩა 573 მანეთი 33 კაპ. ეს ფული ინახება ქ. ტფილისში, სასანიტარო განყოფილებაში, საიდანაც ნათესავებს შეუძლიანთ მიიღონ.

განცხადებანი

1918 წ. დეკემბრის 6-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ ქ. ტფილისის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში აღნიშნულია სიმტკიცის მოწმობა, შედგენილი ტფილისის ნოტარიუს ბოტეზატის მიერ 1918 წლ. დეკემბრის 20-ს, რომლითაც სტეფანე ნიკიტის ძე სტეფანიანცმა 4210 მ. დაირჩინა საჯარო ვაჭრობაზე, რომელიც მოხდა ტფილისის ოლქის სასამართლოში 1918 წ. მარსის 3/16-ს, მიწის ნაჭერი, ზომით 36 საჟ და 6 არ. (ოთხკ.), რომელიც მდებარეობს ქ. ტფილისის მე-4 უბ., ვანის შესახვევში, ქალაქის № 177. მამული ეკუთვნოდა ილია იოსების ძე ბუსურაშვილს. გადახდილია: განცხადების 1 მ. 50 კ., საკანც. და ბეჭედის 80 კ., საქტო 3 მ., სიმტკიცის 168 მ. 40 კ. ამონაწერი 21 მ. 50 კ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 79 1—1

სისხ. სამ. საქ. წარმ. მე-846, 847 და 851 თანახმათ, ტფილისის ოლქ. სას. დადგენილებით ეძებენ ს. ოთხარის, გუდაუთის უბ. სოხუმის ოლქ. მცხოვრებს ტამაკ საკუტის ძე ცკოლიას, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე 1454 მუხ. თანახმათ. ცკოლია 25 წლისაა. ყველა ვინც იცის სად სცხოვრობს ცკოლია ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ სააპეკუო სამმართველოში. 1049 1—1

სისხ. სამ. საქ. წარ. მე-846, 847, 848 და 851 მ. თანახმათ, ტფილისის ოლქ. სას. დადგ. დადგ. ეძებენ რიჩარდ ფრანცის ძე რუშჩიცს, რომელსაც ბრალი ედება საჯ. დებ. I ნ. 286 მ. და II ნ. 286 მ. ძალით ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს რიჩარდს რუშჩიცი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში. 1048 1—1

ანა ტათეოსოვის ძე ვართანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 5354 და პურის ჩეკი № 3488. პასპორტი და ჩეკი გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს დღიდან განცხადებისა. 784 3—1

სევერიანე თედორეს ხალინდრავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი, მიღებული ხონის სამხედრო სასწავლებლის კანცელარიიდან 1910 წ. ატესტატი გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს დღიდან განცხადებისა. 779 3—1

ტფ. სასამ. პალატა სას. დებ. მე-382 მუხ თანახმათ აცხადებს, რომ აღნიშნულ პალატის ნაფიც ვექილთა დადგენილებით ნაფიც ვექილთა რიცხვში მიღებული ივანე ბესარიონის ძე ზედგინიძე, პალატის დეპარტამენტთა ამა წლის მაისის 17 ს საზოგადო კრების თანახმათ, შეტანილია ნაფიც ვექილთა სიაში და დაფიცებულია. 298 1—1

სისხ. სამ საქ. წარმ. მე 846, 844, 848 და 851 მუხ. თანახმად, ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით ეძებენ თამარ თომას ასულს პროტოპოპოვას, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. 1 ნ. 286 მ. და მეორე ნაწილი 286 მ. ძალით. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს თამარ პროტოპოპოვა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებულნი არიან დაუყონებლივ შეატყობინონ საოპეკუნო სამმართველოში. 1048 1—1

ქარელის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მ. ს. ს. წ. იწვევს გარდაცვალებულ ს. ძლევი-ჯვარში (გორის მაზრა) მცხოვრ. ზურაბ (ზუნა) თომას ძე მელაძეს მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავიანთი უფლება მელაძის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზედ მე-1241 მ. სამ. კან. კრებულში აღნიშნულ ვადაზე. 759 3—1

ქ. ტფილისის მე-20 სამომრიგებლო უბნის მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ პეტროსიან კარაბანის ძე ასტვაცატუროვის და პარემუზიან კარაბანის ძე კარაჩინეს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ზემოხსენებულ გარდაცვალებულთა ქონებაზე სამ. კან. კრ. მე-1241 მ. აღნიშნულ ვადაში. 676 1—1

ქ. ტფილისის მე-20 სამომრიგებლო უბნის მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ არუთინ ყაზარის ძე შახკულიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება შახკულიანცის ქონებაზე სამ. კან. კრ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 637 1—1

ილარიონ სპირიდონის ძე გიორგობიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პიროვნების მოწმობა მიღებული ქ. ტფილისის მილიციის სამმართველოდან. 782 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლომ 1918 წ. ოლტომბრის 30 ს სხდომაზე დამტკიცა ნოტარიალური ანდერძი გიორგი ბეჟანის ძე გვალიასი. ანდერძი შედგენილია ტფილისის ნოტარიუს ტურკოვსკისთან 1901 წ. ივლისის 31-ს, რეესტრის № 1675, მემკვიდრეთ დანიშნულია ელისაბედ ემანულის ასული გვალია. 215 1—1

სოხუმის პირველი მომრიგებელი განყოფილების მოსამართლე ექვსი თვის ვადაში იწვევს გარდაცვლებულ ბიხეილ შერვაშიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება შერვაშიძის ქონებაზე. 555 1—1

1913 წ. დეკემბრის 5-ს ტფილისის უფროსი ნოტარიუსის მიერ ქ. ტფილისის I განყ. სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში აღნიშნულია სიმტკიცის მოწმობა, შედგენილი ტფილისის ნოტარიუს კარაკაშის მიერ 1918 წ. ნოემბრის 7-ს, რომლითაც გევორკ მოსეს ძე ჩილინგაროვმა 2060 მან. დაირჩინა საჯარო ვაჭრობაზე, რომელიც მოხდა ტფილისის ოლქის სასამართლოში 1909 წ. მაისის 5-ს ოთხი მიწის ნაჭრის 1/13-ის უფლება № № 1, 2, 3, 4, საერთო ზომით 1 დეს. 1378 ოთხკ. საჟ., რომელიც მდებარეობს ქ. ტფილისის 1 უბანში, „ვაკე“. მამული ეკუთვნოდა გიორგი დავითის ძე ჯუმუხაძეს. გადახდილია: განცხადების 1 მ. 50 კ., საკანც. და ბეჭედ. 80 კ., საქტო 3 მ., სიმტკიცის 82 მ. 40 კ ამონაწერი 10 მ. 50 კ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 78 1—1

1918 წ. დეკემბრის 6-ს, ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ, ქ. ტფილისის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში აღნიშნულია სიმტკიცის მოწმობა, შედგენილი ტფ. ნოტარიუს კარაკაშის მიერ 1918 წ. ნოემბრის 7-ს, რომლითაც გევორკ მოსეს ძე ჩილინგაროვმა 151.000 მ. დაირჩინა საჯარო ვაჭრობაზე, რომელიც მოხდა ტფილისის ოლქის სასამართლოში 1918 წ. სექტემბრის 3-ს, მიწის ნაჭერი, ზომით დაახლოებით 1224 ოთხკ. საჟ., რომელიც მდებარეობს ქ. ტფილისის მე 9 უბ. და ეკუთვნოდა მანია (მარიამ ალექსადრეს ასულს არამაკლისოვას. გადახდილია: განცხადების 1 მ. 50 კ., საკანც. და ბეჭედის 80 კ., საქტო 3 მ., სიმტკიცის 6040 მ. ამონაწერი 755 მ. ღარებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 78 1—1

22 მაის 1919 წ. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ № 828 ნომრით „ძმები ქავთარაძეს“ თამბაქოს ფაბრიკას მოწმობა მისცა ათის წლის ვადით განსაკუთრებულ სარგებლობისა ზემოაღნიშნულ ფაბრიკის მიერ სამინისტროში წარმოდგენილ საქონლის ნიშნისა. 1059 1—1

ტაისა არტემის ასული ხიუნიშჩენკო (გოგოლევა) აცხადებს, როვ მან დაჰკარგა ექვსი კლასის მოწმობა მიღებული ყარსის ქალთა გიმნაზიის კანცელარიიდან. მოწმობა გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 770 3—2.

დავით ელიას ძე ჯაფარიძე აცხადებს, რომ მან დაკარგა საფულე, რომელშიაც იყო 1) ფულად 3445 მან. და 2) პიროვნების მოწმობა, მოცემული შორაპნის მაზრის სამხედრო სავრებულოდან და ბრძანება ბ. მიწად-მოქმედების მიმისტრის, გაგრის კლიმატიურ სადგურის უფროსად დანიშვნის შესახებ. ზემო მოხსენებული საბუთები გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 786 3—1

მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო და სახელმწიფო მამულების განყოფილება ამით აცხადებს, რომ ამა წლის 19 ივნისის შუადღის 12 საათზე განყოფილების სადგომზე (პეტრე-დიდის ქუჩა, № 22 მეორე სართული) მინისტრის ნებართვით დანიშნულია ზეპირი საჯარო ვაჭრობა ამ წლის მოსავლისა შემდეგი ეროვნულ მამულების ხეხილის ბაღებისა: სკრის (ყოფილი ავსარქისოვის და ფრიდონოვის), მუხრანის ყარაიაზის საცდელ მინდვრის, ყოფილი არამიანცის და მანთაშოვის მამულებისა ბორჩალოს მაზრაში.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა შემოიტანოს განყოფილების სახელზე წერილობითი განცხადება ერთ მანეთიან ღერბის მარკით და ბეთ 30% იმ ჯამისა, რომლიდანაც ვაჭრობა იწყება. პირობების შეტყობა შეიძლება განყოფილებაში ყოველ დღე გარდა უქმეებისა, დილის 8 საათიდან დღის 2 საათამდე. 1957 2—2

ქ. ტფილისის მე-12 სამომრიგებლო უბნის მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ სპარსეთის ქვეშევრდომ ბაბატ ალი-ნინოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება